ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2694721

ნომერი: AR1417673

თარიღი : 29.06.2016

გაცემის თარიღი : 07.07.2016

გაცნობის თარიღი : 07.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ძნელაძე), N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაალ იაკობიძე პ/ნ 01024010547
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 76

ორგანიზაცია:
- შპს ოაზისი 9 კოდი: 211322736

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1981564
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.07.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. ზ.იაკობიძის 2016 წლის 29 ივნისის №AR1417673 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში(სექტორი – მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ.ძნელაძე) ქ. N33–ში, საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 ივლისის №1981564 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ.ძნელაძე) ქ. N33–ში, შპს "ოაზისი 9" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.15.04.011.002), სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 6 ივლისიდან 2016 წლის 6 ივლისის ჩათვლით. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ.ძნელაძე) ქ. N33–ში, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2016 წლის 15 თებერვალს № ბ-125031/12 ბრძანებით შპს "ოაზისი 9"–ს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2016 წლის 27 ივნისს შემოსულია ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის № 16/164767 წერილი, რომლის მიხედვითაც აღმოფხვრილი იქნა გარკვეული ხარვეზები. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, 62 მუხლის ,,პ'' პუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge